

გაზეთი ბეჭედი „ვერსია“ ერთი

# ვერსია



60 თეთრი  
ორშაბათი

№116 (1142) 16 - 17 ნოემბერი, 2015 წელი

ოთხშაბათი

პარასკევი

ციფრული მედიის  
რეჟორმა  
ნარმაზებით დასრულდა



## „პარლამენტის რეჟორმა“ შეხვედრა იყო!



არა-ჩვეულებრივი ინტერვიუ

გვ. 3-4

რაზე ეჩხუბა ბურაბ ჟვანია, იცნობს თუ არა ბიძინა ივანიშვიდს და რას ნანობს ედგარ შენგედია



გვ. 6

ქმნის თუ არა პოლიტიკურ პარტიას და უჭერს თუ არა მხარს საპარტიო პაატა ბურჭულაძეს

### ირმა ინაშვილი უსასრულო შიმშილობას აანონსებს



გვ. 2

კრძაღვს თუ არა კანონი ადმინისტრაციული შენობების წინ კარვების გაშლას და რაცომ უშდის მერია ხედს პაციროცთა ადინსის აქციებს

### პატიმრებისა და ოფიცრების გარიგება

როგორ შეჰქონდათ მობიდური ცედეფონები და დეპროპები ბონაბე



გვ. 10

დასრული

ცვლილებები, რომელსაც განათლების სისტემაში 2012 წლის შემდეგ განხორციელდა



თამარ სანივიძემ სამნდიანი ანგარიში წარადგინა  
გვ. 9



მანო ხავლიაშვილი

...ტრადიცია არ დავარდვით და, საუბრის დასრულების შემდეგ სულს ვადავიღებ. მერე, ეს სულს სოციალურ ქსელში ავტვირთავ, რომელსაც „ვერსიის“ გამომცემელმა და მთავარმა რედაქტორმა, მაია ფუცულაძემ მიანერა: „ჩემი შერეკილები!“

- ბატონო ელდარ, აღარ ჩანხართ, როგორ ხართ?
— ნორმალურად. ახლახან, თურქეთში, ფესტივალზე ვიყავი, სადაც „ცისფერი მთები“ ვაჩვენე და პრიზი მივიღე.
— მთავარი პრიზი მიიღეთ?
— გინდათ, ეს პრიზი გაჩვენოთ?
— სიამოვნებით ვნახავ...
— (პრიზი მოაქვს) ეს მეფეა, რომელმაც თურქეთის პირველი სახელმწიფო შექმნა... ეს პრიზი კინოს სფეროში დამსახურებისთვის მომცეს...
— გილოცავთ!.. წელან, მობილურმა ტელეფონმა დაგირეკათ და ყურადღება მივაქციე: როგორც იტყვიან, ზარად „ცისფერი მთების“ მუსიკა გიყვანია. თვლით, რომ დღესაც „ცისფერ მთებში“ ვცხოვრობთ?
— არ ვიცი...
— საქმე საქმეზე რომ მიდგეს, „ცისფერი მთების“ მსგავს კინოშედეგს ახლაც გადაიღებთ?
— კი ბატონო, შედეგია, მაგრამ ეს ფილმი მაინც სხვა დროშია შექმნილი. ახლა სხვა რამეს გადავიღებ.
— რას?
— სცენარი მაქვს, „სავარძელი“ ჰქვია, მთავრობაში უნდა წარვადგინო, რომ ფული მომცენ.
— „სავარძელი“ პოლიტიკური გროტესკია?
— ეს სცენარი მიმიზევა, რომელსაც ძალაუფლება ისე უყვარს, არც ცოლ-შვილისთვის სცალია და არც — მეგობრებისთვის.
— ნებისმიერ მთავრობას თავი მეფე ჰგონია. გამონაკლისი არც დღევანდელი მმართველობა და სცენარს დაგიფინანსებთ?
— ვნახოთ... ამ დღეებში შეხვედრა უნდა მქონდეს და შეიძლება, დამაფინანსონ...
— შეხვედრა კულტურის სამინისტროში უნდა გქონდეთ?
— არა, უფრო მაღალ სფეროებში მივიღო...
— ბატონო ელდარ, ვინაიდან მთავრობას შეეხებთ, თან ნოემბერშია და „ვარდების რევოლუციის“ 12 წლისთავი აღსდგება, მოდით, ძველი ამბები გავიხსენოთ... დღევანდელი გადასახედიდან, ყველაფერ იმას როგორ აფასებთ?
— რა იმას?
— რას და, მახსოვს, ერთ-ერთი მათგანი ხართ, ვინც მაშინ პარლამენტში ვარდით შევიდა...
— გეტყვით: მაინც მგონია, რომ დიდი შეცდომა მოხდა, რადგან სულ არმდებარე თვის შემდეგ არჩევნები უნდა ჩატარებულიყო და გაცილებით უკეთესი იქნებოდა, ყველაფერი არჩევნების გზით მომხდარიყო და არა — რევოლუციის.
— არადა, რევოლუციაში მონაწილეობით...
— დიხ, მაგრამ ამ გადასახედიდან, ვფიქრობ, ეს ჩვენი შეცდომა იყო.
— ეს მიზანმიმართული შეცდომა იყო თუ გაუცნობიერებელი?
— ალბათ, გაუცნობიერებელი...
— როდის მიხვდით, რომ „ვარდების რევოლუცია“ შეცდომა იყო?
— დრო რომ გავიდა... „ოცნება“ სათავეში არჩევნებით მოვიდა და ეს დემოკრატიულია. მაშინ კი რევოლუცია მოხდა, ესე იგი, რაღაცნაირად დემოკრატიის წესი დარღვევა. საერთოდ, ხელისუფლებაში ესა თუ ის ძალა ყოველთვის არჩევნებით უნდა მოვიდეს...
— 2003 წელს შეცდომა მხოლოდ ლიდერებმა დაუშვეს თუ ხალხმაც? როცა რევოლუციონერმა პრეზიდენტმა ინტელიგენციას „ჩარეცხილები“ გინოდით, რა განცდა დაგეუფლათ?
— არასასიამოვნო... ინტელიგენცია საქართველოში ყოველთვის გარკვეულ როლს ასრულებდა. არ ვადარებ, მაგრამ გაიხსენეთ, ილიამ საქართველოს ისტორიაში რა როლი შეასრულა...
— ზურაბ ჟვანია რომ ცოცხალი ყოფილიყო, თუნდაც ტერმინი „ჩარეცხილები“ გაჩნდებოდა?
— არა, არა... ზურაბი სულ სხვა ადამიანი იყო და მისი გარდაცვალებით, როგორც ამბობენ, მკვლევარობით, დიდი შეცდომა მოხდა. სათავეში ზურაბი რომ ყოფილიყო, საქართველოს, მგონი, სულ სხვა ბედი ექნებოდა...
— ე.წ. ჟვანიას გუნდის წევრად ითვლებოდათ...
— რა თქმა უნდა...
— ცხონებულს ბოლოს როდის შეხვდით?
— როცა მთავრობის თავმჯდომარე გახდა. მერე, საუბედუროდ, კონტაქტი თითქმის აღარ გვქონდა.
— რატომ?
— პოლიტიკიდან წამოვედი... ხანდახან მასთან სახლში მივდიოდი ხოლმე.
— რაზე საუბრობდით?
— ყველაფერზე — პოლიტიკაზე, ხელოვნებაზე... ჩვენ ერთმანეთს ისე ვესაუბრებოდით, როგორც მეგობრები...
— ჟვანიას როგორც მეგობრისთვის, თუ უთქვამს, რომ სააკაშვილსა და საერთოდ, ნაციონალისტთან გარკვეული უთანხმოება ჰქონდა?
— კონფლიქტი სულ ერთხელ მოგვივიდა: ჩვენი პარტიის,

# „პარდების ჩვეულება“ შეხდომა იყო!



## რაზე ეჩხება ზურაბ ჟვანია, იცნობს თუ არა ბიძინა ივანიშვილს და რას ნახობს ელდარ შენგელია

გაერთიანებული დემოკრატიის შტაბში ვიყავით და ზურაბს ველოდებოდით, რომელიც სააკაშვილთან წავიდა.
— ამ დროს რევოლუცია უკვე მომხდარი იყო?
— დიხ... ზურაბი დაბრუნდა და თქვა, ჩვენ უნდა გავერთიანდეთ — ჩვენი პარტია უნდა დაიშალოს და სააკაშვილის პარტიას შეუერთდეს. ვუთხარი, ძალიან დიდი შეცდომაა უშვებ, ჩვენი სახე უნდა შევინარჩუნოთ, კოალიცია შევქმნათ და თუ საქმე კარგად წავა, ერთად ვიქნებით, რაღაც ისეთი თუ მოხდა, ოპოზიციაში გადავალთ-მეთქი. ზურაბმა ძალიან შემიტია... უსიამოვნება მოხდა და რამდენიმე დღე აღარ მელაპარაკებოდა. მერე შევერიგდით.
— ზურაბ დავისაბუთათ, გაერთიანებული დემოკრატები ნაციონალისტების პარტიას რატომ უნდა შეერთებოდა?
— ჩვენი გაერთიანება საქართველოს სჭირდება, მაგრამ მგონია, ეს შეცდომა იყო...
— მოქვეყნებში ყველანი ერთად იყავით და სააკაშვილის მიმართ ასეთი დამოკიდებულება რატომ გქონდათ?
— ასეთი დამოკიდებულება სააკაშვილის მიმართ კი არ მქონდა, ვთვლი, ჩვენი პარტია უნდა შეგვენარჩუნებინა და იმაზე, რაც მერე მოხდა, ჩვენ, როგორც ოპოზიციურ პარტიას, ჩვენი დამოკიდებულება გვექნებოდა და არჩევნები რომ იქნებოდა, კაცმა არ იცის, შეიძლება, გავვემარჯვა.
— არსებობს ვერსია, რომ პრემიერი ჟვანია ოპოზიციაში გადასვლას გეგმავდა. ზურაბს ამის შესახებ არაფერი უთქვამს?
— არა...
— რამდენჯერმე შეცდომა ახსენეთ, ბატონო ელდარ, ისიც შეცდომა ხომ არ იყო, ჟვანიამ ნინო ბურჯანაძისგან პოლიტიკური სახე რომ შექმნა?
— არა, არ იყო... როცა ზურაბი გადადგა, არჩევანი იყო, ვინ უნდა გამხდარიყო პარლამენტის თავმჯდომარე და ზურაბმა ნინო აირჩია. ნინო ძალიან კარგი იურისტი და იმ პერიოდში აბსოლუტურად ნორმალური იყო, მაგრამ მერე საქმეები რაღაც სხვანაირად წავიდა.
— თქვენი შეფასებით, „ვარდების რევოლუციის“ მერე ბურჯანაძემ ჟვანიას უღალატა?
— ვერ გეტყვით... მან, უბრალოდ, თავისი გზა აირჩია...
— პრემიერის დღემდე ბურჟუაზიული გარდაცვალების შემდეგ, ე.წ. ჟვანიას გუნდიდან მისი ერთგული რამდენიმე ადამიანი დაარჩია. ამას რით ხსნით? ისე, ბარამიძესთან, მაჭავარიანსა და გოგორიშვილთან ანუ მათთან, ვინც ნაციონალისტად ტრანსფორმირდნენ, გარკვეული კითხვები ხომ არ გაქვთ?
— მათთან საერთოდ არ ვურთიერთობ. ერთადერთი, მიშა მაჭავარიანთან მაქვს კარგი მეგობრობა, მაგრამ პოლიტიკაზე არ ვსაუბრობთ...
— ვერსიის, რომ პრემიერი უბედურ შემთხვევას ემსხვერპლა, გჯერათ?
— ეს ვერსია იმ მომენტში არ იყო, მერე დაიბადა... მჯერა, ის, რა თქმა უნდა, მოკლეს! სხვაგან მოკლეს და მერე, იქ მიიყვანეს, სადაც, თქვენს, გაზი იყო, მაგრამ იქ გაზი საერთოდ არ ყოფილა, არ გაიგუდა, ესე იგი, მოკლეს!
— თუკი მკვლელობის ვერსიას გავყვებით, თქვენი აზრით, ბატონო ელდარ, ჟვანიას მკვლელობის მიზანი რა უნდა ყოფილიყო?
— ვერ გეტყვით... დიდი პოლიტიკა ისეთი არეალია, სადაც ძნელია გაგება, ეს ამბავი რატომ მოხდა. ჟვანია რუსეთთან ურთიერთობას აგვარებდა. შეიძლება, ეს რაღაც მხარეს არ მოეწონა და მოიცილეს.
— ჟვანია ურთიერთობას მხოლოდ რუსეთთან აგვარებდა თუ დასავლეთთანაც?

— ორივესთან... შეიძლება, ვილაგას არ მოეწონა, მაგრამ არ ვიცი, ვის... ეს ჩემთვის და მისი ოჯახისთვის ძალიან დიდი განცდაა.
— თავის დროზე ელდარ შენგელიას პოლიტიკაში ჩართვა შეცდომა ხომ არ იყო?
— არა, 9 აპრილის მერე, ხალხმა შემიტია, რომ პოლიტიკაში ნავსულიყავი. იმ პერიოდში ფილმი — „ექსპრეს ინფორმაცია“ გადავიღე. მერე კი, სინათლეც არ იყო და რა კინო უნდა გადამელო?... იპოდრომზე „მწვანეები“ მიტინგს ატარებდნენ, სადაც ზურაბს შევხვდი. იქიდან მუშტაიდის ბაღში წავიდი, სადაც „მწვანეებს“ შტაბი ჰქონდათ და ჩვენი მეგობრობაც აქედან დაიწყო.
— ანუ, პოლიტიკაში ჩართვა უსინათლობამ გაიძულათ?
— კი...
— ესე იგი, კარგი ცხოვრება რომ ყოფილიყო, პოლიტიკაში არ წახვიდოდით?
— მართალია, როგორც კინოკამერის პირველი მდივანი საბჭოთა პარლამენტში ვიყავი, მაგრამ უბრალოდ, ვიჯექი...
— ეს გასაგებია, მაგრამ თქვენს ფილმებს მაინც პოლიტიკური ელფერი ჰქონდა...
— ალბათ... განსაკუთრებით, ორს — „შერეკილებს“ და „ცისფერ მთებს“, თუმცა „შერეკილები“ უფრო თავისუფლებაზეა. „ცისფერ მთებში“ შენობა დაინგრა და მერე, საბჭოთა კავშირიც დაინგრა...
— ბატონო ელდარ, მგონი, ადრეც მიკითხავს: როგორ მოახსენებთ, რომ „ცისფერ მთებს“ საბჭოთა დღის სინათლე ეხილავ?
— „შერეკილები“ რეზო გაბრიადის სცენარია და ადვილად გავიტანეთ — ისე მიიღეს, როგორც ზღაპარი. „ცისფერი მთები“ კი უფრო რთულად გავიდა.
— რა წინააღმდეგობები შეგხვდათ?
— წინააღმდეგობა სცენარზე არ ყოფილა, მაგრამ როცა გადავიღეთ, საკავშირო კინოკომიტეტის მამინდელმა თავმჯდომარე ერმაშმა თქვა, ეს ანტისაბჭოთა ფილმიო და ეკრანზე გამოსვლა შეაჩერა. ამ დროს ე.წ. გარდაქმნა უკვე დაწყებული იყო. გორბაჩოვი ბიჭვინთაში ჩამოვიდა, ქართული ფილმები მოითხოვა და „ცისფერი მთების“ ქართული ვარიანტი აჩვენეს. მერე, მთარგმნელმა მითხრა, ბევრი უცინია და შევარდნაძისთვის უთქვამს, ედუარდ, ჩვენ რომ რამე არ ვიღოთ, როგორც აქ ჩამოვიარდა ჭერი, სახელმწიფოც ისე დაგვეგრევაო... შემდეგ „ცისფერი მთები“ კანის ფესტივალზე, კონკურსზე მოითხოვეს, მაგრამ ერმაშმა არ გაუშვა და შევარდნაძე ჩაერია...
— ამ დროს შევარდნაძე უკვე საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი იყო?
— არა, ჯერ საქართველოს ცეკა-ს მდივანი იყო. ერთ სიტყვით, ფილმი კანში აჩვენეს, თუმცა დილით და, როგორც მითხრეს, ძალიან ცოტა ხალხი ესწრებოდა, მაგრამ ხმა გავარდა, ძალიან კარგი ფილმიო, საღამოს ისევ აჩვენეს, უკვე ბევრი ხალხი დაესწრო და პრესამ დაწერა, ეს გოგოლი და კაფკააო...
— გადღებისას, სცენარიდან რამე ამოიღეთ ან ექსპრომტად რამე ხომ არ დაამატეთ?
— არა. უბრალოდ, მონტაჟის დროს რაღაცები ამოვარდა.
— აბა, სცენარიც რატომ არ დაინუნეს — ვერ მიხვდნენ, რომ ანტისაბჭოური იყო?
— ალბათ...
— ბატონო ელდარ, დღევანდელ პოლიტიკურ მოვლენებს თვალს ხომ ადევნებთ?
— მაინცდამაინც, არა... პოლიტიკას მონყვეტილი ვარ.
— რატომ, დაილაღეთ?
— არა, სხვა ინტერესი მაქვს — მინდა, ჩემს საქმეს დაეუბრუნდეს და ფილმი გადავიღო...

დასასრული მე-4 გვერდზე



საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის მესამე და საბოლოო ვარიანტს პარლამენტში ნოემბრის ბოლოს წარადგენს. დეკემბრის მესამე კვირაში კი საკანონმდებლო ორგანო ქვეყნის მთავარ ფინანსურ დოკუმენტს დაამტკიცებს. ბიუჯეტის განხილვა მეორე მოსმენით უკვე დასრულდა, თუმცა საპარლამენტო ოპოზიციის წარმომადგენლების შეფასებით, მთავრობამ მეორე მოსმენის დროს, ბიუჯეტში ის ძირითადი შენეებები და რეკომენდაციები არ გაითვალისწინა, რაც არა მხოლოდ მათ, არამედ უმრავლესობის დეპუტატებსაც ჰქონდათ. ასეა თუ ისე, 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის უმთავრესი პრიორიტეტი ისევ მოსახლეობის სოციალური დაცვა და ქვეყნის ეკონომიკური განვითარების უზრუნველყოფაა. შესაბამისად, 2016 წლის ბიუჯეტში, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის, განათლებისა და სოფლის მეურნეობის სფეროებში მიმდინარე პროექტები ისევ გრძელდება.

**ბიუჯეტის ზოგადი პარამეტრები**

2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის განმარტებით ბარათის მიხედვით, მომავალი წლის ფისკალური და მაკროეკონომიკური მაჩვენებლები კონსერვატიული მიდგომითაა დაგეგმილი და 2016 წელს, მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) რეალური ზრდის პროგნოზი 3%-ს, ხოლო მშპ-ს დეფლატორი — 4.5%-ს შეადგენს. საშუალოვადიან პერიოდში, ეკონომიკის რეალური ზრდის პროგნოზი 5.5%-ის ფარგლებშია მოსალოდნელი, ხოლო მშპ-ს დეფლატორი — 3.5%-4%-ის ფარგლებში. მაკროეკონომიკური მაჩვენებლებიდან გამომდინარე, 2016 წლის ნომინალური მშპ-ს მოცულობა 33.9 მილიარდი ლარია, ხოლო 2019 წლისთვის, მისი ზრდა 44.4 მილიარდ ლარამდეა პროგნოზირებული. არსებული მაკროეკონომიკური პროგნოზების გათვალისწინებით, 2016 წლის ნაერთი ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლების მაჩვენებელი 8 მილიარდ 480 მილიონ ლარს შეადგენს, რაც მშპ-ს 25.1%-ია.

საქართველოს 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი 8 მილიარდ 225 მილიონი ლარით, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებები 9 მილიარდ 920 მილიონი ლარით განისაზღვრა. აქედან, საბიუჯეტო სახსრები — 9 მილიარდ 110 მილიონ ლარს, გრანტები — 130 000 000 ლარს, ხოლო კრედიტები — 680 000 000 ლარს შეადგენს. სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯების ჯამური მოცულობა 8 მილიარდ 373 მილიონ ლარს შეადგენს, მათ შორის, შრომის ანაზღაურება 1 მილიარდ 438 მილიონი ლარითაა განსაზღვრული. სახელმწიფო ბიუჯეტის განმარტებით ბარათის მიხედვით ირკვევა, რომ ამ მუხლით გათვალისწინებული ასიგნებები 57 300 000 ლარით გაიზარდა. აქედან, 44 200 000 ლარი — სამოქალაქო უსაფრთხოების დონის ამაღლების პროგრამის ფარგლებში, სსიპ „საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს“ შრომის ანაზღაურებაა. 2015 წლის მანძილზე, ამ სააგენტოს შრომის ანაზღაურება ფინანსდებოდა ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისგან მიღებული სახსრებით, სააგენტოს საკუთარი შემოსავლების ნაწილში აღირიცხებოდა, რადგან 2015 წელი გარდამავალი წელი იყო, როდესაც საგანგებო სიტუაციების მართვის ფუნქცია ადგილობრივი ხელისუფლებიდან ცენტრალური ხელისუფლების კომპეტენციაში გადავიდა. შრომის ანაზღაურების მუხლში, 20 000 000 ლარამდე გაიზარდა ცენტრალური საარჩევნო კომისიის შრომის ანაზღაურების ასიგნებები, რადგან 2016 წელს, საპარლამენტო არჩევნებია დაგეგმილი.

**სამინისტროების ბიუჯეტი**

2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დაფინანსება 3 მილიარდ 70 მილიონი ლარით განისაზღვრა, რაც ბიუჯეტის მთლიანი გადასახდელების 30.9%-ია. სახელმწიფო ბიუჯეტის განმარტებით ბარათის მიხედვით, ეს თანხა მოხმარდება სოციალურ დაცვასა და საპენსიო უზრუნველყოფას; მაღალ-მთიანი რეგიონების განვითარების შესახებ საქართველოს კანონით განსაზღვრული სოციალური ხარჯების დაფინანსებას; ჯანმრთელობის დაცვის პროგრამებს; სამედიცინო დაწესებულებათა რეაბილიტაციასა და აღჭურვას.

2016 წლის ბიუჯეტში, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთვის 975 200 ლარია გამოყოფილი. ეს თანხა ზოგადი განათლების დაფინანსებას მოხმარდება და სკოლის პედაგოგთა ხელფასის მატებას ითვალისწინებს. 2015 წლის სექტემბრიდან, პედაგოგთა საბაზო ხელფასი 305 ლარიდან 355 ლარამდე გაიზარდა, ხოლო 2016 წლის აპრილიდან — 405 ლარამდე გაიზარდა; ჯანდაცვის დაფინანსება მოხმარდება მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ საქართველოს კანონის ფარგლებში, ამ რეგიონში მომუშავე პედაგოგების სახელფასო დანამატებს; ასევე პროფესიულ განათლებას, უმაღლეს საგანმანათლებლო და სამეცნიერო პროგრამებსა და საგანმანათლებლო დაწესებულებათა ინფრასტრუქტურის განვითარებას.

სოფლის მეურნეობის სამინისტროსთვის 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში 281 400 000 ლარია გამოყოფილი. ამ თანხის ფარგლებში გათვალისწინებულია სამედიცინო-საბიოლოგიური სისტემების განვითარება, ასევე შეღავათიანი აგროკრედიტების; რთვების ხელშეწყობის ღონისძიებების; სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის შესხისა და ლიზინგის ვალდებულებების დაფარვის; სასოფლო-სამეურნეო კოოპერა-

# როელი სამინისტროების დაფინანსება იზრდება 2016 წლის ბიუჯეტში

„ეს ბიუჯეტში წარუმატებელია, რადგან „ქართული ოცნების“ დაპირებები გათვალისწინებული არ არის“



ტივების ხელშეწყობის ღონისძიებებისა და აგროდაზღვევის პროგრამის დაფინანსება.

რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო 2016 წლის ბიუჯეტიდან 950 000 000 ლარით დაფინანსდება. ამ თანხის ფარგლებში გათვალისწინებულია საგზაო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება; რეგიონული და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია და წყალმომარაგების ინფრასტრუქტურის აღდგენა-რეაბილიტაცია.

სხვა სამინისტროების დაფინანსება 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში ასე განისაზღვრა: თავდაცვის სამინისტრო — 670 000 000 ლარი; შინაგან საქმეთა სამინისტრო — 595 000 000 ლარი, საიდანაც 64 200 000 ლარი გათვალისწინებულია სსიპ „საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოსთვის, რომელიც 2015 წლის მანძილზე, ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისგან დაფინანსდებოდა; საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური (შსს-ს 2015 წლის 1 აგვისტოდან გამოეყო) — 95 000 000 ლარი; სასაქონლო-საპატენტო სამსახური — 153 000 000 ლარი; ენერჯეტიკის სამინისტრო — 135 000 000 ლარი, მოსახლეობის გაზიფიცირებისთვის ბიუჯეტში დამატებით 20 000 000 ლარია გათვალისწინებული; ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო — 85 000 000 ლარი, თუმცა სახელმწიფო პროგრამა „ანარმოე საქართველოში“, ბიუჯეტში 20 000 000 ლარია გათვალისწინებული; საგარეო საქმეთა სამინისტრო — 100 000 000 ლარი; კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო — 95 000 000 ლარი; იუსტიციის სამინისტრო — 68 500 000 ლარი; ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, დევნილთა და განსახლების სამინისტრო — 70 000 000 ლარი; სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრო — 75 000 000 ლარი; გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო — 40 700 000 ლარი; ფინანსთა სამინისტრო — 90 000 000 ლარი.

2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში, სხვა მხარჯავი დაწესებულებების დაფინანსების მოცულობა შენარჩუნებულია მიმდინარე წლის დონეზე; რეგიონებში განხორციელებული პროექტების ფონდისა და სოფლის მხარდაჭერის პროგრამებისთვის, 2016 წლის ბიუჯეტში 280 000 000 ლარი გამოიყო; „მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნების თანახმად, მაღალმთიანი დასახლების განვითარების ფონდისთვის, მომავალი წლის ბიუჯეტში 20 000 000 ლარი გათვალისწინდა.

2016 წელს, მთავრობის სარეზერვო ფონდი 50 000 000 ლარით, ხოლო პრეზიდენტის სარეზერვო ფონდი ჩვეულებრივ, მხოლოდ 5 000 000 ლარით დაფინანსდება.

**დავით ონოფრიშვილი ბიუჯეტს ნარკვევას უწოდებს**

საპარლამენტო ფრაქცია „თავისუფალი დემოკრატების“ ერთ-ერთმა ლიდერმა, დავით ონოფრიშვილმა „ვერსიას“ განუცხადა, რომ 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტს მხარს არ დაუჭერს, რადგან არცერთი დაპირება, რაც ხელისუფლებამ გასცა, მომდევნო წლის მთავარ ფინანსურ დოკუმენტში არ ასახულია:

„2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში, მთავრობისა და კოალიცია „ქართული ოცნების“ დაპირებები გათვალისწინებული არ არის.“

**პარსიანიუსი**

**ირაკლი ღარიბაშვილი სამუშაო ვიზიტით ბელგიის სამეფოს**

ირაკლი ღარიბაშვილი სამუშაო ვიზიტით ბელგიის სამეფოს ეწვია საქართველოს პრემიერ-მინისტრი, ირაკლი ღარიბაშვილი, სამუშაო ვიზიტით ბელგიის სამეფოს ეწვია. მთავრობის ადმინისტრაციის პრესსამსახურის ინფორმაციით, ირაკლი ღარიბაშვილი ევროკავშირ-საქართველოს ასოცირების საბჭოს მეორე შეხვედრას დაესწრება, სადაც ქართული მხარე ანგარიშს წარადგენს.

შეხვედრის დასრულების შემდეგ გაკეთდება საქართველოს პრემიერ-მინისტრის, ევროკომისიის ვიცე-პრეზიდენტ ფედერიკა მონტეგერინის და ევროკომისარ იოჰანეს ჰანის ერთობლივი განცხადებები. ორდღიანი ვიზიტის ფარგლებში, საქართველოს მთავრობის მეთაური გამართავს შეხვედრებს ევროკომისიის ვიცე-პრეზიდენტ ფრანს ტიმერმანსთან და ევროპული საბჭოს პრეზიდენტ დონალდ ტუსკთან.

„ინტერპრესნიუსი“





# ციფრული მაუწყებლობის რეფორმა წარმატებით დასრულდა



ციფრული მაუწყებლობის სააგენტოს თავმჯდომარემ, ნინო ქუბინიძემ შეაჯამა რეფორმის პროცესში განხორციელებული აქტივობები და ისაუბრა მიღებულ შედეგებსა და სარგებელზე.

„რადიოსიხშირული სპექტრის ეფექტიანად გამოყენების თვალსაზრისით და ასევე უპრეცედენტო ფასდაკლებით უმაღლესი კატეგორიის ქსელური აპარატურისა და სერტიფიცირებული სეთ-თოფ ბოქსების შესყიდვით, სახელმწიფომ უზრუნველყო ქვეყნისა და მოსახლეობის ინტერესების მაქსიმალური დაცვა და საბიუჯეტო ფულადი სახსრების ოპტიმალური, რაციონალური ხარჯვა“, — განაცხადა ქუბინიძემ.

რეფორმა ასევე მიმოიხილა არასამთავრობო ორგანიზაცია IDFI-ის წარმომადგენელმა, უჩა სეთურმა. მან ისაუბრა მედიის რეგულირების გაუმჯობესებულ მოდელზე და პროექტის მსვლელობა დადებითად შეაფასა.

„დღეს, სახელმწიფო მინიმალურად, მხოლოდ რეგულირების დონეზე ერევა კომერციული მაუწყებლების გავრცელებაში და ეს ერთ-ერთი ფაქტორია, რომელსაც საქართველოს ფარგლებს გარეთაც დადებითად აფასებენ. მინდა განსაკუთრებით გამოვყო რეგიონული მედიის ნაწილი. სწორედ, საჩუქრად გადაცემული ლიცენზიები იყო წინაპირობა ამ პროცესის წარმატებისა. მინდა ვთქვა, რომ ჩვენი პარტნიორების მიერ ეს მოდელი შეფასდა, როგორც ქართული წარმატებული პროექტი“.

ნინო ქუბინიძემ და ვახტანგ აბაშიძემ მადლობის სიტყვები გადასცეს იმ კომპანიებსა და ცალკეულ ადამიანებს, რომლებმაც რეფორმის პროცესში უპრეცედენტო თანადგომა და მხარდაჭერა გამოხატეს.

დასასრულს, წარმომადგენელი იყო ციფრული მაუწყებლობის სააგენტოს მიერ მომზადებული დოკუმენტური ფილმი „ციფრული მაუწყებლობის რეფორმა საქართველოში“.

შეგახსენებთ, რომ ამ დროისთვის ახალი ტექნოლოგიური პლატფორმისთვის საჭირო ყველა საშუალო, მათ შორის, საკანონმდებლო რეგულაციები, სახელმწიფო და კერძო ქსელების მშენებლობა, მოსახლეობის სუბსიდირება და საინფორმაციო კამპანია დასრულებულია.

საერთაშორისო ვალდებულებით განპირობებულმა ტექნოლოგიურმა ცვლილებამ ტერესტრიული სატელევიზიო ინდუსტრია ძირეულად გარდაქმნა. მრავალფუნქციური მომსახურების სრული სპექტრი და სიხშირული რესურსის ეფექტიანი გამოყენების შესაძლებლობები თანამედროვე მსოფლიოს არჩევანია, რომელსაც ჩვენი ქვეყანაც შეუერთდა. რეფორმის განხორციელებით საქართველოში ღია საეთერო ტელემაუწყებლობა განვითარების ახალ ეტაპზე გადავიდა.

ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ციფრული მაუწყებლობის სააგენტომ, სასტუმრო „ქორთიარდ მარიოტში“, ციფრული მაუწყებლობის რეფორმის შემაჯამებელი ღონისძიება გამართა.

ღონისძიებას ესწრებოდნენ: საქართველოს მთავრობის წევრები, ევროკავშირისა და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის, აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოსა და ჩინეთის საკონსულოს, ასევე არასამთავრობო ორგანიზაციებისა და კერძო სტრუქტურების წარმომადგენლები, ადგილობრივი და უცხოელი ექსპერტები.

ღონისძიება გახსნა ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა, დიმიტრი ქუცშიშვილმა. ანალოგიურიდან ციფრულ მინისტრად მაუწყებლობაზე გადასვლის პროცესზე, შესრულებული სამუშაოებისა და მიღებული შედეგების შესახებ ისაუბრეს საქართველოს ვიცე-პრემიერმა, საგარეო საქმეთა მინისტრმა, გიორგი კვირიკაშვილმა, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის თავმჯდომარემ, ვახტანგ აბაშიძემ, ციფრული მაუწყებლობის სააგენტოს თავმჯდომარემ, ნინო ქუბინიძემ, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის დირექტორმა, ბრუნო ბალვანერამ და არასამთავრობო ორგანიზაციის, ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის მედიისა და ტელეკომუნიკაციის მიმართულების ხელმძღვანელმა, უჩა სეთურმა.

**დიმიტრი ქუცშიშვილი:** „დღეს, ჩვენ თამამად შევიძლია ვთქვათ, რომ საქართველო მონიწივე ქვეყანაა, რომელმაც უმოკლეს პერიოდში მოახერხა ციფრული მაუწყებლობაზე გადასვლა. რეფორმის წარმატება განაპირობა ქვეყნის აღმასრულებელ და საკანონმდებლო ხელისუფლებასთან ერთად საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის, საქართველოს ტელე-რადიოცენტრის, საზოგადოებრივი მაუწყებლის, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის, საერთაშორისო და ადგილობრივი ექსპერტებისა და კონსულტანტების, არასამთავრობო ორგანიზაციების კოორდინირებულმა და მიზანმიმართულმა მუშაობამ და ეს იყო ძალიან ნაყოფიერი შრომა“.

გიორგი კვირიკაშვილმა დამსწრე საზოგადოებას მიულოცა რეფორმის წარმატება და აღნიშნა, რომ საქართველო რეგიონში ერთადერთი ქვეყანაა, რომელმაც ახალი ტექნოლოგიური პლატფორმისთვის საჭირო ყველა ღონისძიება უპრეცედენტოდ მოკლე ვადებში წარმატებით დაასრულა.

„დიდი მადლობა მინდა გადავუხადო რეფორმის პროცესში ჩართულ ყველა მონაწილეს; ასევე განსაკუთრებული მადლობა — ნინო ქუბინიძეს, რომელმაც უმნიშვნელოვანესი მენეჯერული ფუნქცია შეასრულა ამ პროექტის ეფექტიანად განხორციელებაში. მადლობა ჩვენი ქვეყნის მოსახლეობას, რომელიც გაგებით შეხვდა ამ სიახლეს“, — განაცხადა გიორგი კვირიკაშვილმა.

ვახტანგ აბაშიძე ასევე შეუერთდა მილოცვებს. მისი

თქმით, რეფორმის მთავარი მიღწევაა საქართველოში წარმოებული სამაუწყებლო კონტენტისა და გამოხატვის თავისუფლების ნახალისება.


„რეფორმამ საშუალება მოგვცა, რომ მაუწყებლობის შესახებ კანონში შესულიყო ცვლილებები და ლიცენზირების რეჟიმიდან მაუწყებლობის მსურველები გადასულიყვნენ მარტივი ავტორიზაციის რეჟიმზე. ეს გახლავთ ძალიან მაღალი დონის ლიბერალური რეჟიმი მაუწყებლებისთვის. ამ დონის ლიბერალური მიდგომები საკანონმდებლო დონეზე შესაძლოა, მხოლოდ რამდენიმე ქვეყანას ჰქონდეს“, — განაცხადა ვახტანგ აბაშიძემ.

ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის დირექტორმა ბრუნო ბალვანერამ აღნიშნა, რომ ამ პროცესმა განსაკუთრებული წვლილი შეიტანა EBRD-ის საქმიანობაში.

„ჩვენ გვჯერა რომ კომუნიკაციები ძალიან მნიშვნელოვანი სფეროა, რომელსაც ქვეყნისთვის დიდი სარგებელი მოაქვს. ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლამ მოიტანა გამოთავისუფლებული სიხშირული რესურსი, გაუმჯობესებული ხარისხი, კანონი გახდა უფრო ლიბერალური. საქართველო ერთი ნაბიჯით დაუახლოვდა ევროკავშირსა და ევროსტანდარტებს“.



# სისხლიანი 13 ნოემბერი პარიზში



## 129 დაღუპული და 355-მდე დაშავებული — საფრანგეთში საგანგებო მდგომარეობა

საფრანგეთში საგანგებო მდგომარეობა და სამდღიანი გლოვა გამოცხადებული. 13 ნოემბერს, გვიან ღამით, პარიზში ტერაქტების სერია განხორციელდა. საფრანგეთის დედაქალაქის 6 სხვადასხვა ადგილას, ტერორისტებმა მშვიდობიან მოქალაქეებზე იერიში მიიტანეს. საფრანგეთის პროკურატურის ცნობით, დაღუპულია 129 ადამიანი, 350-ზე მეტი კი, დაშავდა. საფრანგეთის პრეზიდენტის, ფრანსუა ოლანდის გადაწყვეტილებით, უსაფრთხოების მიზნით ქვეყნის საზღვრებზე კონტროლი შემოიღეს, პარიზის ქუჩებში სამართალდამცველებთან ერთად, 1500 სამხედროა მობილიზებული. საფრანგეთის პირველი პირის შეფასებით, ეს თავდასხმები საომარი მოქმედებაა, რომელსაც, ტერორისტული დაჯგუფება „ისლამური სახელმწიფო“ უცხოეთიდან მართავს.

მილენმა დაადასტურა, რომ ერთ-ერთ თავდამსხმელს სირიის მოქალაქის პასპორტი ჰქონდა. მან ასევე უარყო მედიაში გავრცელებული ინფორმაცია მ თავდამსხმელზე და განაცხადა, რომ ტერაქტები 7-მა ადამიანმა განახორციელა, აქედან 6-მა თავი აიფეთქა. მისი თქმით, სამართალდამცველებთან მოლაპარაკებების დროს, ტერორისტები სირიასა და ერაყს ახსენებდნენ.

საფრანგეთის ხელისუფლებამ პარიზის ტერაქტების მონაწილე კიდევ ერთი თვითმკვლეელი ტერორისტის ვინაობა დაასახელა. უცხოური მედიის ინფორმაციით, საფრანგეთის პარლამენტის წევრმა და ქალაქ შარტრის მერმა, პიერ ჟორჟმა Facebook-ის გვერდზე დაწერა, რომ მეორე თვითმკვლეელი ტერორისტი იყო ისმაილ ომარ მოსტეფა. მისი თქმით, ტერორისტი შარტრში დაახლოებით 2012 წლამდე ცხოვრობდა.


პარიზის პოლიცია უცხო ქვეყნის ნომრების მქონე Seat-ის მარკის შავ ავტომობილს ეძებს. „ბი-ბი-სი“ იტყობინება, რომ ავტომობილს პარიზში განხორციელებულ ტერაქტებთან აქვს კავშირი. ფრანგმა გამომძიებლებმა ბატაკლანის საკონცერტო დარბაზში განხორციელებულ თავდასხმაში მონაწილე ერთ-ერთი თავდამსხმელის, ომარ ისმაილ მუსტაფას იდენტიფიცირებაც მოახდინეს, რომელიც საფრანგეთის მოქალაქეა. თავდამსხმელი იდენტიფიცირება მას შემდეგ გახდა შესაძლებელი, რაც ბატაკლანის საკონცერტო დარბაზში დამნაშავის ანაბექდების კვალი აღმოაჩინეს, სადაც რამდენიმე თავდამსხმელმა თავი აიფეთქა.

არაოფიციალური ინფორმაციით, პარიზის ტერაქტში მონაწილე თავდამსხმელებიდან ორი მოზარდი იყო. გაზეთი „ლე ფიგარო“ ამ ინფორმაციას სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის წარმომადგენლებზე დაყრდნობით ავრცელებს. გამოცემის მტკიცებით, ტერორისტების ასაკი დაახლოებით 15-18 წელი იყო. ასევე გავრცელდა ინფორმაცია, რომ ერთ-ერთი შემსრულებელი სავარაუდოდ, ქალი იყო. ამის შესახებ ფრანგული რადიოსადგური „ევროპა 1“, თვითმხილველებზე დაყრდნობით იტყობინება.

ამერიკის შეერთებული შტატების არმიის ოფიციალური პირების მტკიცებით კი, საჰაერო იერიშის შედეგად, სავარაუდოდ, მოკლულია მოჰამედ ემვაზი, ცნობილი ბრიტანელი ტერორისტი. „ამერიკის ხმის“ ინფორმაციით, ის სისტემატურად ჩნდებოდა დაჯგუფება „ისლამური სახელმწიფოს“ სახელით გავრცელებულ ვიდეოკადრებში, რომლებშიც დასავლეთის მიხედვით სასტიკად კლავდნენ. ტერორისტს მეტსახელიდ ფიჰადი ჯონს ეძახდნენ. იერიში ემქანაზე, რომელშიც ის სამ სხვა სამხედროსთან ერთად იჯდა, სირიაში დაჯგუფება „ისლამური სახელმწიფოს“ დეფაქტო დედაქალაქ რაქაში, დროებით — უპილოტო საფრენი აპარატით მიიტანეს.

ფრანგ ხალხს თანადგომა და სამძიმარი უკვე გამოუცხადეს მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყნის პირველმა პირებმა. მათ შორის, საქართველოს პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა და პრემიერმა ირაკლი ღარიბაშვილმა. მთავრობის მეთაურის შეფასებით: „ტრაგედია, რომელიც დღეს პარიზში ხდება, მთელ ცივილიზებულ მსოფლიოს და ერებს გვაერთიანებს. გვაერთიანებს, პირველ რიგში, საფრანგეთის და ფრანგი ხალხის მხარდასაჭერად ამ უმძიმეს წუთებში, ხოლო მეორეს მხრივ გვაერთიანებს სამყაროს უდიდესი ზოროვნების — ტერორიზმის წინააღმდეგ“. საქართველოს მოქალაქეებმა, ფრანგი ხალხის მხარდასაჭერად, პარლამენტის შენობასთან, აქციაც გამართეს. მსოფლიო ლიდერებმა კი, ანტალიაში, „დიდი ოცეულის“ სამიტზე კიდევ ერთხელ იმსჯელეს, როგორ უნდა ებრძოლოს მსოფლიო მსოფლიო ტერორიზმს. ტერორიზმისა და ISIS-ის წინააღმდეგ, აქტიური კამპანია დაიწყეს მუსლიმებმაც — სოციალურ ქსელებში სულ უფრო პოპულარული ხდება მოძრაობა — „არა ჩემი სახელი“. ამ გზით, მუსლიმები ემიჯნებიან „ისლამური სახელმწიფოს“ ქმედებებს, რელიგიურ ექსტრემიზმსა და ფანატიზმს.

ნინო ლურსმანაშვილი



„ისლამურმა სახელმწიფომ“ მომხდარზე პასუხისმგებლობა უკვე აიღო. „ბი-ბი-სის“ ინფორმაციით, დაჯგუფებამ ოფიციალური განცხადება გაავრცელა, სადაც ნათქვამია — თავდასხმების მიზანი საფრანგეთისთვის იმის დემონსტრირება იყო, რომ ის კვლავ მთავარ სამიზნედ რჩება.

ტერაქტამდე რამდენიმე საათით ადრე, „როიტერმა“ დაუთარილებელი ვიდეო გაავრცელა, სადაც ISIS საფრანგეთს ემუქრება, თუკი გააგრძელებს ჩვენი მებრძოლების წინააღმდეგ შეტევას, საფრანგეთის მოსახლეობას სამაგიეროს გადაუხდით. „სანამ თქვენ ბოშავეთ, მშვიდობაში ვერ იცხოვრებთ, თქვენ მაშინაც კი შეგემინდებათ, როცა ბაზარში წახვალთ“, — აცხადებს ტერორისტი მებრძოლებთან ერთად გარემოცვაში.

ტერორისტებმა მუქარა 13 ნოემბერს აასრულეს. ტერაქტების სერია პარიზში, სტადიონიდან დაიწყო, სადაც საფრანგეთის და გერმანიის გუნდების ამხანაგური შეხვედრა მიმდინარეობდა. მატჩს საფრანგეთის პრეზიდენტიც ესწრებოდა. პირველივე აფეთქება მატჩის დაწყებიდან 1 საათის შემდეგ, ცენტრალურ შესასვლელთან გაისმა. რამდენიმე წუთში დაფიქსირდა მეორე აფეთქება სტადიონის კიდევ ერთ შესასვლელთან. მომდევნო აფეთქება კამბოჯურ რესტორანში მოხდა. ტერასაზე მსხდომ ადამიანებს რამდენიმე შეიარაღებულმა ბოროტმოქმედმა ცეცხლიც გაუხსნა ავტომატური იარაღიდან. მეოთხე აფეთქება საკონცერტო დარბაზთან მოხდა, სადაც ამერიკული როკჯგუფის კონცერტი იმართებოდა. აფეთქებას მოჰყვა სროლა და შეიარაღებულმა ტერორისტებმა მიქვლად აიყვანეს 100-ზე მეტი ადამიანი. მოგვიანებით სროლა გაისმა პარიზის ერთ-ერთ სავაჭრო ცენტრშიც, სადაც ასევე დაიჭრა და დაიღუპა არაერთი ადამიანი. „როიტერის“ ინფორმაციით, პარიზის 13 ნოემბრის ტრაგედია, ევროპაში მომხდარი ყველაზე დიდი ტერაქტია 2004 წელს მადრიდში მატარებლის აფეთქების შემდეგ, სადაც 191 ადამიანი დაიღუპა.

საფრანგეთის პროკურატურის ინფორმაციით, პარიზში მომხდარი თავდასხმების დროს, ტერორისტები სამ კარგად ორგანიზებულ და კოორდინირებულ ჯგუფად მოქმედებდნენ. პარიზის პროკურორის, ფრანსუა მილენის განმარტებით, თავდამსხმელებს ე.წ. შაჰიდის ქამრები ეკეთათ და კალაშნიკოვის ავტომატებით იყენებდნენ შეიარაღებულები. „უნდა დაავადვინოთ, საიდან ჩამოვიდნენ ისინი და ვინ აფინანსებდა მათ“, — განაცხადა მილენმა და დასძინა, რომ ერთ-ერთი თავდამსხმელი 30 წლის მამაკაცი იყო, რომელიც პარიზის გარეუბანში დაიბადა. კრიმინალური წარსულის მქონე ახალგაზრდა, 2010 წელს ისლამისტებს დაუახლოვდა, რის გამოც სპეცსამსახურების მეთვალყურეობის ქვეშ იყო, თუმცა არც ერთ დაჯგუფებაში არ გაწევრიანებულა.

ტერაქტების გამოძიების ფარგლებში, უკვე დააკავეს 3 ადამიანი, აქედან ერთი — საფრანგეთი-ბელგიის საზღვარზე.





# სვლილება, როგორც განათლების სისტემაში 2012 წლის უმჯობესი განხორციელება



## თამარ სანიკიძემ სამნიდანი ანგარიში წარადგინა

ინფო ლურსმანაშვილი  
593-51-52-04

**გაზრდილი ბიუჯეტის ფარგლებში, განათლებისა და მეცნიერების განვითარებისთვის განხორციელებულ პროექტებზე თამარ სანიკიძემ მთავრობის წევრებს, დეპუტატებს, განათლების სფეროს, სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლებსა და მოწვეულ სტუმრებს ვრცელი ინფორმაცია მიაწოდა. მინისტრმა დეტალურად ისაუბრა ხელმისაწვდომი და ხარისხიანი განათლებისთვის გადადგმულ ნაბიჯებზე როგორც ზოგად, ასევე პროფესიულ, უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების მიმართული განათლებისა და მეცნიერების განვითარების მიზნით. მნიშვნელოვანია, რომ „2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონპროექტით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსათვის გამოყოფილი ასიგნებები 2012 წელთან შედარებით, 55.6%-ით იზრდება.**

### ზოგადი განათლება

„2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონპროექტით, ზოგად განათლებაზე მიმართული სახსრები 2012 წელთან შედარებით, 45.8%-ით იზრდება.

გაიზარდა ხელმისაწვდომობა ზოგად განათლებაზე. 500 000-მდე მოსწავლეს უსასყიდლოდ გადაეცა სახელმძღვანელო და რვეული. ტრანსპორტით უზრუნველყოფილია 1150 საჯარო სკოლის 60 000-ზე მეტი მოსწავლე. შედეგად, დასრულების მაჩვენებელი 95%-ს აჭარბებს;

ზოგად განათლებას იღებენ სასჯელაღსრულების დაწესებულებებში მყოფი პირები. დაფინანსებულია სასკოლო ინიციატივების ნახაზისთვის 106 პროექტი თუმცა, დაფინანსებული პროექტების რაოდენობა, წლის ბოლომდე გაიზარდება.

განათლების ყველა საფეხურზე ვითარდება ინკლუზიური განათლება — 983 საჯარო სკოლაში 966 სპეცმასწავლებელი 5000-მდე სსმ მოსწავლეს ემსახურება. ილიას უნივერსიტეტში დაიწყო სპეც-მასწავლებლის სამაგისტრო პროგრამა, ხოლო 35 საჯარო სკოლაში ადაპტირებული გარემო ბოქსი. თბილისსა და რეგიონებში გაიხსნა ინტეგრირებული კლასები. პირველად დაიბეჭდა სახელმძღვანელოები ბრაილის შრიფტით. ყველა ენის განსავითარებლად, შეიქმნა მეთოდოლოგია და დამხმარე სახელმძღვანელოები. ლექციებით დაავადებული ბავშვებისთვის კი, იაშვილის კლინიკაში, სპეციალური კლასი ამოქმედდა.

წარმატებით დასრულდა სკოლების ინტერნეტიზაციის პროგრამა; განხორციელდა მანდატურის სამსახურის ძირეული რეფორმა. შეიქმნა ფსიქოლოგიური ცენტრები, მანდატურის სამსახურის ბაზაზე ამოქმედდა პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის პროგრამა; 300-მდე სკოლაში მოეწყო ექიმის კაბინეტი, რაც აქტიურად გრძელდება.

2013-2015 წლებში, 1069 სკოლა ჩაუტარდა სხვადასხვა სახის სარეაბილიტაციო სამუშაოები. დასრულდა 10, მიმდინარეობს 8 ახალი სკოლის მშენებლობა და 20 სკოლის პროექტირება, რომელთაგან 6-ის მშენებლობა წლის ბოლოსათვის დაიწყება. აშშ-ს ათასწლეულის გამოწვევის კორპორაციის მეორე კომპაქტის ფარგლებში, დაგეგმილია 100-მდე საჯარო სკოლის რეაბილიტაცია. მიმდინარეობს ოკუპირებულ ტერიტორიებთან გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლების სკოლების რეაბილიტაციის პროცესებიც. რეაბილიტაცია ჩაუტარდა 18 საზღვრისპირა სკოლას, დაგეგმილია კიდევ 12 სკოლის რეაბილიტაცია. აქტიურად მიმდინარეობს სკოლების აღჭურვა — 2013-2015 წლებში სასკოლო ინვენტარით და ავეჯით 2000-მდე საჯარო სკოლა აღიჭურვა.

ამოქმედდა მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემა. 2013 წელს მასწავლებლის საბაზო ხელფასმა 70 ლარით მოიმატა, მომდევნო ზრდა განხორციელდა პროფესიული განვითარების სქემის ფარგლებში.

2015-2016 წლებში საბაზო ხელფასი კიდევ ორ ეტაპად იზრდება. მზარდი იქნება მასწავლებლების ანაზღაურება სხვადასხვა კარიერულ საფეხურზე. შესაბამისად, მასწავლებლის საბაზო ხელფასი, დანამატების გარეშე, 2016 წლისათვის, ჯამში 70%-ით გაიზარდება. საბაზო ხელფასისა და დანამატების ზრდის შესაბამისად, 2016-2017 აკადემიური წლისათვის მასწავლებლის საშუალო ხელფასი საქართველოში არსებულ საშუალო ხელფასზე მაღალი იქნება.

ამუშავებული პროგრამების შედეგად, 60%-ით შემცირდა ოჯახების დანახარჯი ზოგად განათლებაზე, 95%-ით გაიზარდა ვაკე-ვეთილზე დასრულების მაჩვენებელი და 20%-ით გაუმჯობესდა სწავლა-სწავლების შედეგები.

### პროფესიული განათლება

2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონპროექტით, პროფესიულ განათლებაზე მიმართული სახსრები 2012 წელთან შედარებით 83.0%-ით იზრდება.

2013 წლიდან სახელმწიფო პროფესიულ განათლებას სრულად დაფინანსებს — 2013-2015 წლებში სახელმწიფო დაფინანსებით 27 000-მდე სტუდენტმა ისარგებლა. მიმდინარეობს მოდულური საგანმანათლებლო პროგრამების დანერგვა. შემუშავდა 900 მოდული, ამოქმედდა 54 პროგრამა. დამსაქმებელთა მონაწილეობით, 200-ზე მეტი პროფესიული სტანდარტი განახლდა. მოდულების შესაბამისად, კოლეჯები აღიჭურვა და გადაიარაღდა საჭირო მასალითა და ინვენტარით.

ათასწლეულის გამოწვევის ფონდის — საქართველოს პროექტის ფარგლებში, პროფესიული პროგრამები განვითარდა საინჟინრო, ტექნოლოგიურ, სასოფლო-სამეურნეო და ტურიზმის მიმართულებით. კოლეჯებში ინერგებოდა ხარისხის მართვის ევროპული ფონდის (EFQM) მოდელი. მიმდინარე წელს ორმა სახელმწიფო კოლეჯმა (ფოთი, ქუთაისი) მოიპოვა ISO სერტიფიკატი. მიმდინარეობს მუშაობა დუალური სწავლების ელემენტების დანერგვაზე;

2013 წელს, დაიწყო ინკლუზიური პროფესიული განათლების დანერგვა. ადაპტირებულია გარემო უნივერსალური დიზაინით, განათლებას ეუფლება 300-მდე სსმ სტუდენტი, მოქმედებს მრავალფეროვანი სერვისები (ყველა ენის თარგმანები, დამხმარე თანამშრომლები, ინკლუზიური განათლების სპეციალისტები), განვითარდა ადაპტირებული სასწავლო მასალები. აღიჭურვა და რეაბილიტაცია ჩაუტარდა ყველა კოლეჯს. 17 კოლეჯში მიმდინარეობს უნივერსალური დიზაინით ადაპტაცია. აგრარული მიმართულების განვითარებისთვის სამ რეგიონში მიმდინარეობს მეცხოველეობის ფერმის მშენებლობა და სხვა. გაიხსნება 3 ახალი კოლეჯი, მიმდინარეობს სტუდენტური საერთო საცხოვრებლების მოწყობაც.

### პერსონალი

## 2015 წელს ტალინის „ბნელი ღამეების“ მე-19 კინოფესტივალის საპატიო სტუმარი საქართველოა

კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მხარდაჭერით, 13-29 ნოემბერს, ესტონეთი ქვეყნის ყველაზე პრესტიჟულ საერთაშორისო კინოფესტივალს მასპინძლობს, რომელმაც გასულ წელს „ა“ კლასის ფესტივალის სტატუსი მოიპოვა. ღონისძიების გახსნას საქართველოს, ტალინის საკონცერტო დარბაზ „ნორდეაში“, კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრი მიხეილ გიორგაძე და მინისტრის მოადგილე კახი კანდელაკი დაესწრნენ.

კულტურის სამინისტროს ინფორმაციით, ფესტივალის კოტე მიქაბერიძის უხმო ფილმმა „ჩემი ბებია“ გახსნა, ჩვენება მუსიკალურად გააფორმა ნიკოლოზ რაჭველის მიერ სპეციალურად შექმნილი ნაწარმოებმა. კინოფესტივალის ფარგლებში, საქართველოს თეატრის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმის ორგანიზებით მოეწყო ძველი ქართული ფილმების კინოაფიშების გამოფენაც. ფესტივალის მთავარ კონკურსში მონაწილეობს ვანო ბურდულის ფილმი „გაყინული შადრევანის წელიწადი“, რომლის პრემიერაც ტალინში შედგება. ფესტივალის პროგრამაში 13 ქართული ფილმი: „ზამთრის სიმღერა“ (ოთარ იოსელიანი), „ჩემი ბებია“ (კოტე მიქაბერიძე), „ფიროსმანი“ (გიორგი შენგელაია), „ნატურის ხე“ (თენგიზ აბულაძე), „ციხეფირი მთები“ (ელდარ შენგელაია), „მონანიება“ (თენგიზ აბულაძე), „ივენანა“ (ნანა ჯანელიძე), „სამი სახლი“ (ზაზა ურუშაძე), „გალმა ნაპირი“ (გიორგი ოვაშვილი), „მანქანა, რომელიც ყველაფერს გააქრობს“ (თინა გურჩიანი), „შემთხვევითი პაემნები“ (ლევან კოლუაშვილი), „პატარძლები“ (თინათინ ყაჯრიშვილი), „მე ვარ ბესო“ (ლაშა ცქვიტინიძე). ტალინის ბნელი ღამეების მე-19 კინოფესტივალის ფარგლებში, ასევე იგეგმება სტუდენტური ფილმების რეტროსპექტივა. ნაჩვენებია საქართველოს კინოსა და თეატრის უნივერსიტეტის სტუდენტების მიერ გადაღებული 5 ფილმი (პრეზენტაციონი დათო ჯანელიძე). ფესტივალის მოკლემეტრაჟიანი ფილმების საკონკურსო პროგრამაში კი მონაწილეობს თეატრისა და კინოს უნივერსიტეტის სტუდენტის სალომე ვეფხვაძის ფილმი „მე, მამა და ისინი“, რომელიც საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის მიერ დაფინანსდა და წელს უკვე მოიპოვა ორი საერთაშორისო პრიზი.

„ინტერპრესნიუსი“



რამდენიმე დღის წინ, სამართალდამცავებმა სასჯელად-სრულების სამინისტროს ერთ-ერთი თანამშრომელი ქრთამის აღების ფაქტზე დააკავეს. დაკავებულს შვიდი ათასი ლარის სანაცვლოდ ზონაზე მობილურის სიმ-ბარათი უნდა შეეცნა. გაგიკვირდებათ და, ეს ამბავი გამიხარდა; უფრო სწორად, ის კი არ გამიხარდა, რომ ვილაც დააკავეს, არამედ ის, რომ სიმ-ბარათის შეტანა შვიდი ათასი ლარი ღირს. ეს ფასი ახალი მინისტრის კარგ მუშაობაზე მეტყველებს, რადგან აკრძალული ნივთების შეტანა მის მინისტრობამდე ბევრად იაფად იყიდებოდა; მეტიც, ჩალის ფასად შეგედლო ზონაზე რაც გინდოდო შეგეტანა, განსაკუთრებით მაშინ, როცა ხელისუფლება შეიცვალა, ძველი კადრები ნავიდნენ და ახლები მოვიდნენ. მაშინ პატიმრებმა დაიჯერეს, რომ ამ ქვეყნის მმართველები არიან, ეს დაიჯერეს ახლადმოსულმა ხელმძღვანელებმაც და საბოლოოდ, იქამდე მივედით, დანესებულელები არამარტო მობილურებით, ლეპტოპებითაც კი გაივსო...

2012 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ ის შემდეგები და ოფიცრები, რომლებიც პატიმრებს სცემდნენ, უბრალოდ გაქრნენ, სამსახურში აღარ მოვიდნენ და ვინც ითავებდა და მინც მოვიდა, იმას პატიმრები დაედევნენ, ყოფინით დახვდნენ და აიძულეს, სხვა სამსახური ეძებნა. რუსთავის №17 ზონაზე სოზარ სუბარის ძმა იჯდა. მოგესხნებოდა, ახალმა ხელისუფლებამ თავიდან სასჯელადსრულლება სწორედ სოზარს ჩააბარა და ატყდა ერთი ამბები, ყველას ყველაფერი უნდოდა, თუმცა მინისტრის ძმა თავისუფლებაზე მალე გავიდა და ყველას ყველაფერი არ და ვერ ერგო. ყველაზე კარგი, რაც სუბარის ძმამ გააკეთა, საკვებს დანატრებულ პატიმრებს სულგუნი დაურიგა. უფრო ზუსტად, ერთ-ერთმა ცნობილმა კრიმინალურმა ავტორიტეტმა უთხრა, თუ მოახერხებ, რომ ზონაზე სულგუნი შემოგვტანინო, დიდ რაოდენობას შემოვიტანო და ბიჭებს გაუხარდებოთ. მაშინდელმა ადმინისტრაციამ თანხმობა თქვა, ოღონდ ერთი პირობით — სულგუნს დაჭრიდნენ, რამე ანუ ნარკოტიკი რომ არ შემოეკარებინათ. რა თქმა უნდა, პატიმრებმა თანხმობა თქვეს და მეორე დღეს ნახევარი ტონა თხელ ნაჭრებად დაჭრილი სულგუნი პატიმრების ხელში იყო, თუმცა...

„მაყურებელი გეცხის“, — პატრიარქი №0578-ის კამერაში „კაზიოლებს“ უსტაბაშმა შემოიხედა და გაიძუნა. №0578 მაყურებლებთან ჩავიდა და იქ მხოლოდ ორი კაცი დახვდა — ზონის მაყურებელი და „პალაჟენცი“. მიხვდა, სერიოზული სასაუბრო იქნებოდა, ამიტომ შესვლისთანავე, კამერის კარი მიხურა და ისიც დაინახა, რომ ყარაულად ერთ-ერთი რეგონის მაყურებელი დადგა, მოსაუბრეები რომ არავის შეენუებინა.

„მოკლედ აგიხსნი — სხვა ზონებზე ტელეფონების პონტი გაიჩითა, მობილურები შეაქვთ და ჩვენს ზონაზე არ არის. შენ ოფიცრებს კარგად იცნობ, მაგათი ფსიქოლოგია, ისე თუ ასე, ყველაზე კარგად შენ იცი. როგორ ფიქრობ, რომელი ოფიცერი გარისკავს ზონაზე მობილურის შემოტანას და რა ფასად?!“ — პირდაპირ ჰკითხა „პალაჟენცი“.

„ცუდ კითხვას მისვამ, ძმა... მე რომ რომელიმე ოფიცერზე გითხრა ახლა, ესა და ეს გარისკავს-მეთქი და გაგვიბოზდეს, ვისი ბრალი იქნება?!“ — კითხვა შეუბრუნა №0578-მა.

„აი, ამიტომ ვცემ ამ კაცს პატივს, რა. ყველაფერზე ფიქრობს და... ქურდობა არ გინდა, ხო?!“ — გაეცინა მაყურებელს.

„შენ რამდენიმე გვიტახარი, 2-3 ვარიანტი და ჩვენ თავად განვსაზღვრავთ მერე, რომელს „დავეპაღებოთ“, — უთხრა „პალაჟენცი“.

„გოგა, გოჩა და ირაკლი — ეს სამი კაცია ძველი, ანუ იმ დროს ნამუშევარი, როცა ზონაზე მობილური კი არა, იარაღი

# პატიმრებისა და ოფიცრების გარიგება

## როგორ შეჭქონდათ მობილური ტელეფონები და ღებოჰები ზონაზე



შეჭქონდათ, ამიტომ, ამ სამს უნდა მოუსინჯოთ კბილი და ჩემი ნება რომ იყოს, გოგათი დავინყებდი, მერე გოჩა და ბოლოს ირაკლი“, — თქვა №0578-მა.

„რატომ ამ „რასკლადით“?!“ — დაინტერესდა პალაჟენცი. „გოგას დედა ჰყავს ავად, ოპერაცია გაუკეთეს, იმ დღეს ნუნუნებდა, კრედიტსაც აღარ მძღვევენ და სამეზობლოში ას-ასლარობით ავგაროვე ოპერაციის ფულით. ანუ ყველაზე მეტად მაგას უჭირს. თან ცუდი ურთიერთობა არ მაქვს მაგასთან და თუ გინდათ, კბილს მე მოგუსინჯავ, გოჩა და ირაკლი თქვენთვის დამითმია“, — აუხსნა №0578-მა.

„კარგი... და კუში რა ვუთხრა?!“ — ისევ იკითხა „პალაჟენცი“.

„შენ პატალიკი მითხარი, რამდენის გადამხდელები ვართ და მე ბოლოდან დავინყებ და მეცოდინება, რამდენზე მეტი არ უნდა ვუთხრა“, — უპასუხა №0578-მა.

„ხუთი ათასი ლარი. ეს არის პატალიკი. ზოგ ზონაზე ამდენს იხდიან, ზოგზე კი ნაკლებს. შეეცადე, არ აგიყვირდეს, თორემ შარია. თან, ეგ თუ აყვირდა, მერე მთლიანად გაფუჭდება სიტუაცია, კონტროლს ვამკაცრებენ“, — დაარბია მაყურებელმა და №0578-იც კამერიდან უხმოდ გავიდა.

სალამოს, დაკეტვის წინ, პატრიარქი №0578 გოგასთან მივიდა, მეგობრულად მოიკითხა, დედის ამბავი ჰკითხა და ოფიცერმაც თავის ქნევით უპასუხა, მგონი გადარჩა, მაგრამ მე თუ გადავრჩები, ეგ არ ვიცი, იმდენი ვალი მაქვსო.

„შენც ადექი და სხვა ზონაზე გადადი... მაყუთი იჭრებაო, ამბობენ, ტელეფონები შეაქვთ, სანთებლები, ათასი რამე... ნამლის გარდა და ამოსუნთქებ, რა“, — ურჩია №0578-მა.

„ეჰ, სად გადავიდე? ვინ გადამიყვანს? თან სანამ ხალხს გაიცნობ, სანამ ურთიერთობაში შეხვალ, სანამ ნდობა გაჩნდება...“ — ჩაილაპარაკა გოგამ.

„კარგი, რა... ურთიერთობა და ნდობა თუ გვაქვს, იმიტომ არ შემოგაქვს ჩემთვის ნაირ-ნაირები... არადა, სხვებზე ნაკლებს გადამხდელი არ ვარ, რომ იცოდელ“, — ხუმრობანარევი სერიოზულობით უთხრა №0578-მა.

გოგამ პატრიარქს შეხედა, თვალეში ჩაამტერდა და უხმოდ გაშორდა. ამ ყველაფერს მაყურებელი შორიდან უყურებდა და როცა №0578მ მარტო დარჩა, მაშინვე მიიბრინა.

„რაო?!“

„ჯერ არაფერი, მაგრამ ეჭვი მაქვს, ზეგ სიტუაცია დაიძვრება“, — თვალის ჩაუკრა №0578-მა.

„ზეგ რატომ?!“ — გაოცდა მაყურებელი.

„ხვალ ისვენებს ეს კაცი და სახლიდან ხომ არ დამირეკავს, მოვიფიქრეო“, — უკმაყოფილოდ თქვა №0578-მა და კამერაში ავიდა.

ამ ამბიდან მესამე დღეს, გოგა სამსახურში გამოვიდა, მთელი დღე №0578-ს გამარჯობის მეტი არაფერი უთხრა, მერე კი, როცა ზონის დაკეტვას წუთები უკლდა, დაიმარტოხელა და ყოველგვარი შესავლის გარეშე აჯახა: „საქმე მარტო შენთან მექნება, ფულს მამაშენი მომცემს, ვიცნობ კარგად, ორი ათასი ლარი მინდა და ტელეფონი, რომელსაც შემოვიტან. ტელეფონი რაც შეიძლება პატარა უნდა იყოს“.

„პატარა რატომ, ტორპედოთი შემოგაქვს?!“ — №0578-მა დაბნეულობისგან მეტი ვერაფერი მოახერხა.

„ტორპედოთი არა დინამოთი... პატარა უნდა იყოს და მორჩა“, — თქვა გოგამ და გაშორდა. №0578 მაშინვე მაყურებელ-თან გაიქცა და ეს ამბავი უთხრა. მაყურებელმა „პალაჟენცი“ შეატყობინა, პალაჟენციცმა გარეთ და მეორე დღეს №0578-ის მამასთან ვილაყვი მივიდნენ, სიტუაცია აუხსნეს, თუმცა მან არც ფულს მოჰკიდა ხელი და არც ტელეფონს, სხვა ვინმე ნახეთო. ის „სხვა“ კი გოგას არ უნდოდა და ბიჭები საგონებელში ჩაცვივდნენ.

„მე ვიცი, რაც უნდა ვქნათ. გოგას დედა საავადმყოფოში ნევს. მივიდეს მასთან ჩვენი მნახველი და ბალიშის ქვეშ ამოუღოს ფულიც და ტელეფონიც. დამთავრებული თემა“, — თქვა №0578-მა და ყველა დაეთანხმა. ერთი კვირის შემდეგ გოგამ ტელეფონი შემოიტანა, მაგრამ ბიჭებს ელდა ეცათ — ტელეფონში სიმ-ბარათი არ იყო.

„აუ, რა სირები არიან, ტელეფონი დაითრეს, სიმი არა. რა ჩემი სირით დავრეკო ახლა?!“ — გაოცდა „პალაჟენცი“.

„უკაცრავად და, შენი სირი კარტის ადგილზე ჩაეტევა?!“ — იკითხა №0578-მა.

„შენ კიდევ სულ კაიფის ხასიათზე როგორ ხარ? რა ჯანდაბა ვქნა ახლა?!“ — ცოფებს ყრიდა „პალაჟენცი“.

„რა უნდა ქნა და უთხარი იმ შენს ძმაკაცებს, სიმი მიუტანონ გოგას დედას და ეს სიმი ასდოლარიანში იყოს გახვეული, გოგასთან მე მოვაგვარებ“, — თქვა და გოგას საძებნელად წავიდა. ორ დღეში პატიმრებს სიმიც ჰქონდათ. ამის შემდეგ ზონაზე კიდევ არაერთი ტელეფონი გაჩნდა, პატიმრებმა სხვადასხვა ოფიცრებთან „გახოდეს“, თუმცა ახალი ხელისუფლება მალე მოვიდა აზრზე და ის ზონები, რომელსაც ტელეფონების და ლეპტოპების გამო პრაქტიკულად ვეღარ აკონტროლებდა, დაშალა, დანარჩენებში ჩხრეკა ჩაატარა და აკრძალული ნივთები ამოიღო, თუმცა პატიმრებმა „გულაობა“ 4-5 თვის განმავლობაში მოახერხეს, რაც ცოტა ნაღველიად არ იყო.

**P.S. ერთ-ერთ ზონაზე, მაყურებლის დაბადების დღის-თვის, 3000 ლარის სანაცვლოდ, ერთ-ერთმა ოფიცერმა ორი ბოთლი ვისკის შეტანა მოახერხა.**

## ლავანსტი

# „ცრემლების მწმენდავი“ დაიქიწავს



ტოკიოში მდებარე კომპანია Rocket Inc, რომლის თანამშრომლებიც ხშირად ტირიან, ახალი მამაკაცი თანამშრომელი დაიქირავა, რომლის მოვალეობაც, მათთვის ცრემლების მწმენდავი ფირმის ხელმძღვანელობა ამგვარად ცდილობს, შრომისმოყვარე ქალებს მადლობა გადაუხადოს. „ცრემლების მწმენდავი“ მოდელის გარეგნობისა და დიდხანს ელოდება, როდის მოიწყენენ ფირმის თანამშრომლები. ჩვეულებრივ, ჩვენი ქალები აცრემლებ-მეტროთი თუ მატარებლით, 44%-ით ნაკლებად იმატებენ წონაში, ვიდრე ისინი, ვინც სამსახურში მანქანით დადის. საზოგადოებრივი ტრანსპორტის მოყვარულებში დიაბეტის განვითარების რისკი 34%-ით დაბალია, ჰიპერტონიის კი — 27%-ით. როგორც სწავლულები აცხადებენ, ასეთი შედეგების მიზეზი ისაა, რომ უმანქანო ადამიანები იძულებულნი არიან, ფეხით მეტი იარონ.

შედეგად, როგორც გავიგეთ, მათ მიმართ სათანადო ყურადღებას არ იჩენენ, — ამბობს კომპანიის ხელმძღვანელი. ოფისში პატარა მოსასვენებელი ოთახები აქვთ, სადაც ტირილის მსურველს შეუძლია სევდიან ფილმებს უყუროს. „ცრემლების მწმენდავი“ კი გვერდიდან არ მოშორდება, რისთვისაც საათში 43 დოლარს გადაუხდინა.

# იმგზავრეთ საზოგადოებრივი ტრანსპორტით

ამომავალი ქვეყნის სწავლულების თქმით, ის ადამიანები, ვინც სამსახურში საზოგადოებრივი ტრანსპორტით დადის, გაცილებით ჯანმრთელია მათზე, ვინც საკუთარი ავტომანქანით გადაადგილდება. მეცნიერთა გამოკვლევაში 6 ათასი მოხალისე მონაწილეობდა, რომელთა საშუალო ასაკი 52 წელი იყო. როგორც გაირკვა, ის მოხალისეები, ვინც რეგულარულად მგზავრობს ავტობუსით, მეტროთი თუ მატარებლით, 44%-ით ნაკლებად იმატებენ წონაში, ვიდრე ისინი, ვინც სამსახურში მანქანით დადის. საზოგადოებრივი ტრანსპორტის მოყვარულებში დიაბეტის განვითარების რისკი 34%-ით დაბალია, ჰიპერტონიის კი — 27%-ით. როგორც სწავლულები აცხადებენ, ასეთი შედეგების მიზეზი ისაა, რომ უმანქანო ადამიანები იძულებულნი არიან, ფეხით მეტი იარონ.





ადვილი

8 1 3
9 3 7 2
6 4
4 7 5
3 6 8
9 2 3
9 6
3 7 4 5
5 8 4



სტანდარტი

6 4 8 7
2 1 4
4 3 1 6 5
9 4 5
2 8 1
7 3
3 5 6
1 7 9 6



რთული

8 6 4
5 4 8 9
1
3 4 7 1 9
2 1 9 7 6
7 2 3 6
8 3 5



ექსპერტი

9 5 3
3 6 4 2
1 5
8 6 4 2
2 5 1 7
1 2 6 4
6 7
1 2 5 8
7 1 9



ჭაქუჭისთვის საშიში პროდუქტი

ამერიკელმა და სინგაპურელმა სპეციალისტებმა ბავშვებისა და მშობლების მასშტაბური კვლევა დაასრულეს, რომელიც 1990-იან წლებში ტარდებოდა. სამი წლის განმავლობაში მკვლევარები 4500 ბავშვის დიეტის მონაცემებს ადგენდნენ...

ვიტამინი C კიბოს წინააღმდეგ



ასკორბინის მჟავა, ანუ ყველასთვის ნაცნობი ვიტამინი C, როგორც აღმოჩნდა, უნიკალური თვისებების მატარებელია. მას შეუძლია შეებრძოლოს სიმსივნურ უჯრედებს და შეანელოს მათი ზრდა.

რომელსაც გლეუკოზა მიაქვს უჯრედში. ექსპერიმენტებისას თავგებს მუცლის არეში კანცეროგენული ნაერთები შეუყვანეს...

ტროტუარები სწრაფად მოსიარულეებისთვის

ბრიტანეთის ქალაქ ლივერპულში ტროტუარი გახსნეს იმ ფეხით მოსიარულეებისთვის, ვისაც ძალიან ეჩქარება. საფეხმავლო ზოლი ქალაქის ყველაზე დიდ სავაჭრო ცენტრთან გაჩნდა...



მყიდველი ყველაზე გამაღიზიანებელ ფაქტორად მიჩნია. უფრო ადრე მსგავსი იდეა სწრაფი მყიდველებისთვის ლონდონის ყველაზე ხმაურიანი ქუჩის — ოქსფორდ სტრიტის მალაზიების მფლობელმა მიანოდეს დედაქალაქის ხელისუფლებას...

წინა ნომერიდან გასული სკანდორღისა და სუდოკუს პასუხები

Grids for 'ადვილი', 'სტანდარტი', 'რთული', and 'ექსპერტი' puzzles with solutions. Includes a list of 86 words for the 'რთული' puzzle.

სიმეტი იმის შესახებ



გამომგონებელმა ამომავალი მზის ქვეყნიდან სირესი ოსაკამ ობობის ქსელისგან ვილინოს სიმები შექმნა. ნარის სამედიცინო უნივერსიტეტის სწავლული, პოლიმერული ქიმიის სპეციალისტი უკვე 35 წელია, ობობას ქსელის შესწავლითა და მისგან გამძლე მასალის მიღებითა დაკავებული ვარუდობენ...

1. ყველაფრისადმი უინტერესობა, გულგრილობა	2. გერმანული პიანინოების ფორმა	3. იუდაიზმის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი თხზულება	4. ლიონზე შესრულებული გრაფიურის სახეობა	5. მითოლოგიური ფრინველი თვითდაწეს უზარით	6. თამარ მეფის მოწინააღმდეგე მასიანის ბრძოლაში
7. ფოტოგრაფის სახელობა	8. ე. წ. საღათის ძილი	9. პოლიციის ფილმი ბრუს უელისის მიხაწილობით	10. ფრჩხილის ბუდის ანთება	11. ინდიელთა ტომი	12. შალის ქსოვილის მტერი პეპელა
13. ასტრონომის დედაქალაქი	14. წმინდანის გამოსახულება	15. მარდი, მამაცი	16. ლეო ქაჩელის „ტარიელ ...“	17. ვაშლის ღვინო	21. პატარა გარეული ფრინველი (ზოგადად)
18. ჯან რასინის ცნობილი ტრაგედია	19. თქმულება ღმერთების შესახებ	20. პეტრე ჩაიკოვსკის ოპერა	22. შენობის შიგნითა ეზო	23. ძალიან ბრაზიანი, ანხელი	24. მძვილი სააკაშვილის „საყვარელი“ მწვანელი
25. ეთიოპის დედაქალაქი ... აბება	26. მოკლე, უფალო, მოხრილი ხმალი	27. „რეალ მადრიდის“ და საფეხბურთის თვითდასმული	28. იგივე, რაც ქონდრის-კაცობა	29. ფრანგული ყურძნის ჯიშები	30. საბჭოთა კავშირი (შემოკლებით)
31. ბგერის ანარეკლი	32. კედლის ჭალი	33. აკვედუკის ქართული შესატყვისი	34. წორად აზრდობი, უტოტებო ხე	35. ზაქარია ფალიაშვილის ოპერა	36. ყოფილი ბრაზილიელი ფეხბურთელი
37. ტომბ-ეტური ხარი	38. მუზეუმის საცხოვრებელი მთა	39. ბგერის გრაფიკული ნიშანი	40. პერაკლეს ტყუილისცალი	41. კარგი ამინდი	42. გერმანული მღვდლის ბიჭუნა
43. ფინელი კომპოზიტორი	44. მდინარე სამხრეთ აზიაში	45. შინა მუსიკალური წარმოდგენების სივრცე	46. სცენაზე მსახ. განლ. გარკვეული მომენტში	47. რუმის და რომულუსის ძიძა ... ლარენცია	48. დროის მონაკვეთი კრიეზი
49. ვადოს-ნური ძაფის პატრონი ბერძ. მით.	50. აზიის ქვეყნებში გავრცელებული საკრავი	51. ბიბლიური ისააკის ძე	52. დაკო-ლილი ცხენი	53. ბერძენი მონაზონთა მავი რბილი ქუდი	54. წარსულში პოპულარული იტალიური მოძიერების ქალი
55. ავტომობილის სენსორი	56. ბილირდის სათამაშო ჯიშები	57. თუთიყუშის ჯიშები	58. ყველაზე კარგად გარსკვალავი	59. კოვბების შეჯიბრება ისტატობაში	60. სამურნეო მუშაურობა
61. ზემოთაშუა ზღვის ყურე	62. ცეცხლის მხათი ნაწ.	63. აქლემის ნაშიერი	64. არაბული ფლიტა	65. დრიფტის სამოსი	66. ურჩხული მოტლანდის ტბაში
67. ბოსტნეული	68. რუსული როკ-ჯგუფი	69. შურისმაძიებელი ქალღმერთი	70. თავისუფალი მცველი ფეხბურთელი	71. უბედურების საერთაშორისო სიგნალი	72. კუნძული მდინარე სენაში
73. ზღვაოსანთა კუნძულები	74. კუნძული, სადაც პოლ გოგენი ცხოვრობდა	75. მიმართვა ინგლისელი ქალიშვილისადმი	76. ზეცის დედა	77. აფრიკული შხამიანი გველი	78. ფუტურის სახლი
79. ერთნაირი სიმაღლეების ერთდროულად	80. მუსიკალური გაბის III ნოტი	81. სამი მუსიკოსისგან შედგენილი ანსამბლი	82. თხელი ტალახი, ტლაპი	83. ცხრა მუსიკოსისგან შედგენილი ანსამბლი	84. ფერ-ფითები ბალახი ლობიონის სუნით
85. ბიბლიური კილოზის ამბები	86. განუხორციელებელი იმედი, ოცნება				



## გულში კბილის სანმენდი ჩხირი უპოვეს



არგენტინელი მამაკაცი, 42 წლის ორასიო როდრიგესი ნახევარ წელზე მეტი იტანჯებოდა გულში გამუდმებული ტკივილით, ციბ-ციხელებითა და სისხლიანი ხველებით. მედიკოსებმა ვერა და ვერ დაადგინეს მისი ავადმყოფობის ნამდვილი მიზეზი. ზოგიერთმა ექიმმა ისიც განაცხადა, რომ მამაკაცს შიდა სჭირდა. თუმცა, ყველაფერს ნათელი მოეფინა საოპერაციო მაგიდაზე — ქირურგიული ჩარევის დროს სპეციალისტებმა პაციენტის გულში კბილის სანმენდი ჩხირი აღმოაჩინეს. ექიმები თვალდებ არ უჯერებდნენ, როცა ქირურგმა ავადმყოფის გულიდან ჩხირი ამოიღო. ბოლობოლო როდრიგესმაც გაიხსენა, რომ ახალი წლის აღნიშვნის დროს ბევრი საჭმელი ჭამა და ჩხირიც, როგორც ჩანს, ერთ-ერთ ნასახემსებელს მიაყოლა, რომელმაც დროთა განმავლობაში გულს მიაღწია.

**ვერსია**  
 მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.  
 e-mail: versiaprinti@yahoo.com      www.versia.ge  
 UDC(უპაკ)070.48.32(479.22)3-387

დაფუძნებულია და მთავარი რედაქტორი  
 მაია ფურცელაძე (599) 62-88-77  
 პასუხისმგებელი რედაქტორი: ნინო ლურსმანაშვილი  
 მმფი: მაია მიშელაძე, ნინო კომახიძე,  
 მარიკა ლომიძე.  
 სტილისტი – ნინო ებანოძე  
 დიზაინერი – გიორგი ლომსაძე  
 ტელ: +995 32 294 23 99



დაცულია საავტორო უფლებები.  
 რედაქციაში შემოსული  
 მასალები უკან არ ბრუნდება.  
 სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა  
 და ინფორმაციის სიზუსტეზე  
 პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის  
 შემთხვევაში დაგვიკავშირდით  
 14 დღის განმავლობაში.